

„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული
სამსახური“

„State Hydrographic Service of Georgia“



საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური



მეზღვაურთა უწყებანი

უწყება №
29-38

გამოშვება №01
თარიღი: 5 იანვარი 2014წ.

სახლვო რუკები და სახელმძღვანელოები უნდა იქნეს შესწორებული მეზღვაურთ უწყებების მიხედვით. მეზღვაურთა უწყებანი ქვეყნდება როგორც ცალკეული გამოცემა და ყოველ გამოცემას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი. ნუმერაცია ნარჩუნდება მუდმივად, მთლიანი კალენდრული წლის განმავლობაში.

მეზღვაურთა უწყებანის გამოცემის მიზანია: დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მეზღვაურებს მომხდარ ცვლილებებზე: როგორც სანავიგაციო ვითარებით ასევე ნაოსნობის რეჟიმში.

სახლვო რუკებისა და ლოციის განახლებისთვის საჭიროა მეზღვაურები ინფორმირებულნი იყვნენ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, შემდეგში:

- I. ახალი აღმოჩენილი დაბრკოლებები როგორცაა: მარჩხოები, მენჩი, კლდეები, ქვები და ასევე ვულკანური წარმონაქმნები.
 - II. ნებისმიერი ცვლილებები რუკებსა თუ სანავიგაციო სახელმძღვანელოებში.
 - III. აუცილებელი ინფორმაცია თვალსაჩინო ნიშნებისა და ობიექტების რუკებზე დასატანად და სხვა ინფორმაცია, რომელიც გაამარტივებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფას.
- მონაცემები და ადგილ მდებარეობა დაბრკოლებების შესახებ, რაც შეიძლება ზუსტად არის წარმოდგენილი.

პუბლიკაციებზე წარგზავნისას მითითებულია პუბლიკაციის ნომერი და გამოშვების წელი.

რუკებზე გეოგრაფიული კოორდინატებით წარგზავნისას მითითებულია რუკის ნომერი და გამოცემის წელი.

ინფორმაცია მეზღვაურთათვის

მეზღვაურთა უწყებებში ობიექტების ადგილმდებარეობა მოცემულია გეოგრაფიულ და პოლარულ კოორდინატებში, გრძედები მოყვანილია გრინვიჩიდან. მოყვანილი კოორდინატები შეესაბამება მსხვილმასშტაბიანი რუკების კორექტირებას. რეკომენდირებული გზების თუ კვეთების მიმართულებები ორმხრივია: პირველი ზღვის მხრიდან (პირველი კვეთის ნიშნიდან კვეთის ბოლო ნიშნამდე), მეორე ზღვის ნაპირიდან. განათების მიმართულების სექტორი მოცემულია გრადუსებში, საათის ისრის მიმართულებით. სიმაღლეები მოცემულია მეტრებში.

ბუნებრივ ობიექტთა სიმაღლეები (როგორცაა: მთები, გორაკები, ბორცვები, კლდეები და სხვა) და აგრეთვე მაშუქების სიმაღლეები, რომლებიც ატარებს სანავიგაციო დატვირთვას ათვლილია ზღვის დონიდან, რომელიც ასევე განსაზღვრავს რუკაზე მოცემულ სიმაღლეებს. ნაგებობათა სიმაღლეები მოცემულია საძირკველიდან. თუ ნაგებობათა სიმაღლეები მოცემულია ზღვის დონიდან ეს არის მითითებული.

მაშუქები, რომლებიც სანავიგაციო მნიშვნელობას ატარებს, მათი ნათების მანძილი განისაზღვრება საზღვაო მიღებში. სიღრმეები განისაზღვრება მეტრებში სიდიდიდან რომლებიც ამ რეგიონში ათვლის წერტილად ითვლება და განისაზღვრება როგორც მოცემული რუკის ნული.

რუკები და პუბლიკაციები გამოიცემა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ.

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია-----	1-4
I.საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი-----	5-6
II.რუკის კორექტურა-----	7-13
III.სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში-----	14
IV.სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა-----	15
V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა-----	16

I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი

რუკები					
№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი
	29				
	30				
	31				
	32				
GE101	33				
GE103	34				
GE103	35				
GE10	35				
GE101	36				
GE101	37				
GE103 A	38				

წიგნები

გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი

II. რუკების კორექტურა

შავი ზღვა, საქართველოს სანაპირო

29. საქართველო, შავი ზღვა

ანაკლიის შუქურას მუშაობა აღდგენილია.

30. საქართველო, შავი ზღვა

4 დეკემბრის ძლიერი შტორმის შედეგად გადაადგილდა მცურავი ერთეულები:

1. ყულევის ნავთობ-ტერმინალის შემოსასვლელი არხის I-წყვილის წითელი და მწვანე ქერქეჭელა გადაადგილდა სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით (ზუსტი მდებარეობა უცნობია)
2. ფოთის პორტის დერძული ქერქეჭელა №2423 საშტატო ადგილიდან იმყოფება სამხრეთის მიმართულებით დაახლოებით 500 მეტრში.

31. საქართველო, შავი ზღვა

ბათუმის პორტის დასავლეთის ნიშნის სარყე მოწყვეტილია და არ იმყოფება საშტატო ადგილზე.

32. საქართველო, შავი ზღვა

ბათუმის პორტის „დასავლეთი“ ქერქეჭელა (მიმდები, დერძული) ძლიერი შტორმის შედეგად გადაადგილდა საშტატო ადგილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლოებით 500 მეტრში.

33. რუკა № GE101;

საქართველო, შავი ზღვა
ბათუმის პორტი

კარდინალური მანათობელი ტივტივა „დასავლეთი“. ტოპ-მარკა „დასავლეთი“ დროებით განთავსდა შემდეგ კოორდინატებში:

$$\begin{aligned}\lambda &= 41^{\circ} 40.002' \text{ E} \\ \varphi &= 41^{\circ} 38.741' \text{ N}\end{aligned}$$

34. რუკა № GE103;

საქართველო, შავი ზღვა

ფოთის პორტის დერძული ქერქეჭელა აღდგენილია და განთავსებულია საშტატო ადგილას შემდეგ კოორდინატებში:

$$\begin{aligned}\varphi &= 42^{\circ} 10.08' \text{ N} \\ \lambda &= 41^{\circ} 38.06' \text{ E} \quad \text{სიღრმე: 12.5 მ.}\end{aligned}$$

35. რუკა № GE103; GE10;
საქართველო, შავი ზღვა

ფოტის პორტის შემოსასვლელი არხის გარეთა მარცხენა წითელი ქერქეჭელა №2428 დროებით არ ანათებს.

36. რუკა № GE101;
საქართველო, შავი ზღვა

გაუქმებულია:

1. კარდინალური სარყე (ვეხა) „დასავლეთი“-ს ნიშნით.

$\varphi=41^{\circ} 39.69' N$

$\lambda=41^{\circ} 39.00' E$

2. კარდინალური სარყე (ვეხა) „დასავლეთი“-ს ნიშნით.

$\varphi=41^{\circ} 39.82' N$

$\lambda=41^{\circ} 38.94' E$

3. კარდინალური სარყე (ვეხა) „ჩრდილოეთი“-ს ნიშნით.

$\varphi=41^{\circ} 40.0' N$

$\lambda=41^{\circ} 39.18' E$

4. კარდინალური სარყე (ვეხა) „ჩრდილოეთი“-ს ნიშნით.

$\varphi=41^{\circ} 40.00' N$

$\lambda=41^{\circ} 39.46' E$

5. კარდინალური სარყე (ვეხა) „დასავლეთი“-ს ნიშნით.

$\varphi=41^{\circ} 40.50' N$

$\lambda=41^{\circ} 40.79' E$

37. რუკა № GE101; საქართველო, შავი ზღვა

1. დაბალი სიღრმეების აღსანიშნავად განთავსდა ორი მანათობელი კარდინალური სარყეები დასავლეთის ნიშნით.

ნათება: თეთრი; გამოკროთმა 9; პერიოდი 15 წ/მ;

1. $\varphi=41^{\circ} 39.82' N$

$\lambda=41^{\circ} 38.95' E$ სიღრმე: 10 მ.

2. $\varphi=41^{\circ} 39.72' N$

$\lambda=41^{\circ} 39.00' E$ სიღრმე: 10 მ.

2. საღუზე რაიონის აღსანიშნავად განთავსდა სამი სპეც დანიშნულების ყვითელი ფერის მანათობელი სარკეები.

ყვითელი ნათება: 5 წმ.

1. $\varphi=41^{\circ} 40.00' N$
 $\lambda=41^{\circ} 39.16' E$ სიღრმე: 11.5 მ.

2. $\varphi=41^{\circ} 40.23' N$
 $\lambda=41^{\circ} 39.80' E$ სიღრმე: 10 მ.

3. $\varphi=41^{\circ} 40.65' N$
 $\lambda=41^{\circ} 40.81' E$ სიღრმე: 10.5 მ.

38. რუკა № GE103 A;

საქართველო, შავი ზღვა

1. ფოთის პორტში მანათობელი ყვითელი ფერის ტივტივა კოორდინატებში:

$\varphi=42^{\circ} 09.016' N$

$\lambda=41^{\circ} 38.932' E$ გაუქმებულია.

2. ჩაძირული გემის აღსანიშნავად განთავსდა განცალკავებული საშიშროების აღმნიშვნელი არამანათობელი სარკე (ვეხა).

წითელი და შავი ჰორიზონტალური შეფერილობის. ტოპ-ფიგურა ორი ვერტიკალური სფერო.

$\varphi=42^{\circ} 09.016' N$

$\lambda=41^{\circ} 38.932' E$

III. სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა

V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა